



აგროსაფარვის ცენტრის გაზეთი

გაყინუკი

WWW.AGROSC.GE

№ 6 (12). ნოემბერი . 2014 წელი

ერთად ვაყვარებით სიკეთესად სიფუძვლეს!

„ოქროს რთველი“ ფელს ფინანსდელზე უკეთესი იქნება

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბატონი ზაურ ფუტყარაძემ დარწმუნებულა, რომ წლებგანდელი „ოქროს რთველი“ შარშანდელზე უკეთესი იქნება. თუმცა, როცა მის კომენტარებს გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ ამგვარი თბილისის საფუძველი ნამდვილად არსებობს.

მისი თქმით, წელს სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების დახმარებით, მეცნიერულ ფერმერებმა უკეთესად მოუარეს ბაღებს (იგულისხმება ნიადაგის დამუშავება, განაყოფიერება, მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა), თანაც წელს მსხმოიარობა ნაკლებია და შედეგად, ნაყოფი უკეთესი ხარისხისაა. მოსალოდნელი 70-72 ათასი ტონა მოსავლიდან, სავარაუდოდ, 85 პროცენტამდე სტანდარტული იქნება, რაც წარმატებულ ექსპორტს განაპირობებს.



მინისტრმა ასევე გაუსვა ხაზი მოსავლის დამამზადებელი სისტემის ამოქმედების სიკეთეს, რომელზე ზრუნვაც ჯერ კიდევ შარშანდელიდან დაიწყო. საუბარია ენ შემფუთავ-დამხარისხებელი საწარმოების, მუშა და საექსპორტო ყუთების დამზადების, გამართული ტრანსპორტირებისა და მარკეტინგის რგოლებისგან შემდგარ ჯაჭვზე, რომელიც წელს უფრო ორგანიზებულად ამუშავდა და ალბათ, მეცნიერულ ფერმერებს დიდად შეუწყობს ხელს მოსავლის რეალიზაციაში. სამინისტროს ინფორმაციით, წელს აჭარაში კერძო თუ სახელმწიფოს ეგიდით ამოქმედებული 32 შემფუთავ-დამხარისხებელი საწარმო მუშაობს. უმეტესობამ უკვე დაიწყო მოსავლის მიღება, გადამამუშავება და ექსპორტზე გასაგზავნად მომზადება. მოსახლეობას შეეახსენებთ, რომ საბჭოურისაგან განსხვავებით, ეს საწარმოები არ არიან სახელმწიფო მიმღებ-გამსაღებელი ორგანიზაციები. მათი მიზანია დაეხმარონ მეცნიერულ ფერმერებს მოსავლის დახარისხებასა და სარეალიზაციოდ გამზადებაში. ზოგს აქვს შანსი და შესაძლებლობა, რეალიზაციასაც შეუწყოს ხელი იმით, რომ აღადგინოს კავშირები რუსეთში, უკრაინასა და სხვა ქვეყნებში ძველ სავაჭრო პარტნიორებთან, ან გამონახოს ახალი. როგორც გავიგეთ, ხელშეკრულებებიც კი გაუფორმებიათ მათთან და გადატვირთვებიც დაწყებულია. ასეთებს, ცხადია, შესაძლებლობა აქვთ თავად გადაუხადონ მოსავლის ღირებულება ფერმერებს ანუ იყიდონ და თავად გაიტანონ ექსპორტზე. ცხადია, კერძო შემფუთავ-დამხარისხებელი საწარმოების მეპატრონეებს ამის მეტი შანსი აქვთ, სხვანაირად ისინი ხელს არ მოჰკიდებდნენ ამ საქმეს. ამას გარდა, სოფლებსა და აგრარულ ბაზრებში თანდათან მრავლდებიან კერძო შემსყიდველები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან.

დასასრული მე-2 გვერდზე

აგროსაფარვის ცენტრმა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უმასპინძლა

21 ნოემბერს დონორთა მეთვლე საერთაშორისო კონფერენცია აჭარა - თანამშრომლობა-განვითარებისათვის 2014 გაიმართა.

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ევროკავშირისა („ENPARD Ajara“) და სხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების შედეგებს გაეცნენ და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძესთან, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაურ ფუტყარაძესთან, „ENPARD Ajara“ - სოფლის მეურნეობის განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პროექტის ხელმძღვანელ ლაშა კომახიძესთან, ღონისძიებაზე სპეციალურად მიწვეულ სტუმრებთან და მედიის წარმომადგენლებთან ერთად ქობულეთში, „აგროსერვის ცენტრში“ მათი ფინანსური და ორგანიზაციული ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების



მიმდინარეობა მოინახულეს.

საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიმდინარე და შესრულებული სამუშაოები, განხორციელებული პროექტები დიდი ყურადღებით დაათვალიერეს. სტუმრებს ამომწურავ ინფორმაციას და კითხვებზე პასუხს აგროსერვის ცენტრის დირექტორი გონა ბერიძე აძლევდა. ნანახმა, როგორც თავად სტუმრებმა აღნიშნეს, მათზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ჩატარებული სამუშაოების დადებითად შეფასებაშიც ერთსულოვანი იყვნენ. აღნიშნეს ისიც, რომ საქართველოში და განსაკუთრებით აჭარაში, სოფლის მეურნეობა სწრაფად და საფუძვლიანად ვითარდება და დონორი ორგანიზაციების დახმარებაც დროული და ეფექტურია, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს აგროსერვის ცენტრის რეაბილიტაციის პროცესს. სტუმრებმა პროექტის ფარგლებში გახსნილი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბოსტნეულის სათბური დაათვალიერეს. დასასრულს, სტუმრებმა ჩაქვის ციტრუსის სანერგე მეურნეობაში მანდარინის კრევის პროცესში მიიღეს მონაწილეობა.

ლია მარკოიძე



ENPARD AJARA-ს სარეაბილიტაციო ფარგლებს

„ENPARD Ajara“ - სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პროექტის ფარგლებში, აგროსერვის ცენტრის დირექტორმა გონა ბერიძემ სოფელ შუახევში მცხოვრებ მეცხოველეობის ფერმის მეპატრონეს, ომარ ნაკაიძეს რძის საწველი აპარატი გადასცა. პროექტის მიზანი რეგიონში მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობაა.

სანეველი აპარატის გადაცემის პროცესს გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის მენეჯერი, ლაშა კომახიძე და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სულიკო ბერიძე დაესწრნენ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში, კოოპერატივის საინიციატივო ჯგუფს „ENPARD Ajara“ - სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პროგრამის ფარგლებში აგროსერვის ცენტრმა ავტომატურ მულტიფუნქციური მიკროკომპიუტერული ტექნოლოგიის ბაზაზე შექმნილი 3 ინკუბატორი გადასცა. ინკუბატორები აღჭურვილია ევროპული წარმოების ციფრული ელექტრონული ტემპერატურისა და ტენიანობის საზომი სენსორებით, გამოირჩევა სტაბილურობით, სანდოობით, რომელიც



ამცირებს დროსა და ენერჯის ხარჯს. იგი იდეალური მოწყობილობაა ფრინველის გამრავლებისათვის. ინკუბატორების გადაცემის პროცესს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები, ავთანდილ მესხიძე, სულიკო ბერიძე და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის მენეჯერი, ლაშა კომახიძე დაესწრნენ. მსგავსი პროექტი აჭარის რეგიონში პირველად განხორციელდა. პროექტის მიზანი აჭარაში მეფრინველეობის დარგის განვითარებაა.

ლია მარკოიძე

3

რას ითვალისწინებს რძის მფარმეველსათვის ახალი საკანონმდებლო ცვლილება

„სამომხმარებლო ბაზარზე მოხვედრა მხოლოდ უნებელი და სტანდარტული ხარისხის რძის პროდუქტები“.

3

სუბტროპიკული კულტურების ნერგების გამოყვანისათვის

სუბტროპიკული კულტურების, ციტრუსებისა და ხეხილის ნერგები ნორმალურად გამოსაზამთრებლად აგრონესებით გათვალისწინებული სამუშაოებია ჩასატარებელი.

3

სახელმწიფო აგროდაზღვევის საპილოტო პროგრამით ათასობით ფერმერმა ისარგებლა

რთული მეტეოპირობებისა და სტიქიური მოვლენების გამო დაზარალებულ მეცხოველეებს მიყენებული ზარალი აუნაზღაურდათ.

4

მეფრინველეობა მომავალიანი გიზნისია

დარგის აღმავლობაში უდიდესი როლი საწარმოების თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვამ და მალალროდუქტიული შიბრიდული ფრინველით სამრეწველო გუნდის დაკომპლექტებამ შეასრულა.

4

გათუვამ „აგრო სსსპსათო პროდუქტისა და ტექნოლოგიების მეთვლე საერთაშორისო გამოფანას“ უმასპინძლა

ღონისძიებაში ქართულმა და უცხოურმა 40-მდე კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

მეფრინველთა მოვლა



მეფრინველების, როგორც დარგის განვითარება, ჩვენს ქვეყანაში მე-19 საუკუნის მთლიან ნახევრიდან იწყება და როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, 1880-იანი წლებიდან საქართველოდან მეფრინველების პროდუქტები საქსპორტოდაც კი გადიოდა.

მარტო ქუთაისის გუბერნიიდან, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებით იმ პერიოდში 108 მილიონ ცალი კვერცხი იქნა გატანილი ევროპაში და წარმოიდგინეთ, იმ დროისათვის ჩვენებური ქათმის კვერცხი ისეთ ქალაქში იყიდებოდა, როგორც ლონდონი, პარიზი, ბერლინი, ვენა, ჰამბურგი და სხვა. მეფრინველების პროდუქტების ხარისხს მაშინაც დიდი ყურადღება ექცეოდა და კონტროლიც მკაცრი გახლდათ, მაგრამ რადგანაც ქართული კვერცხი გემოვნებით თვისებებით გამოირჩეოდა, იგი განსაკუთრებული მოწონებით პრეტენდენტ მომხმარებლებში სარგებლობდა და 1898-99 წლებში ლონდონის ბაზარზე გამართულ ხარისხის კონკურსებში მას მუდმივად მეორე ადგილი ეკავა. შემდეგ იყო ცნობილი მოვლენები, რამაც მეფრინველობა დასავლეთ და აღმოსავლეთი მიმართულებით, 1990-იანი წლებისათვის ფართოდაა განვითარდა. 450 მილიონ ცალი კვერცხს გადააჭარბა. აქ დიდ როლს თამაშობდა თითქმის ყველა რაიონში არსებული საკვლელო ნივთიერებების მწარმოებელი საწარმოები და ქათმის ხორცპროდუქტები და დაბალხარისხიანი, ხშირად კი ვადაგადასულმა კვერცხმა.

ამჟამად, ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ მეფრინველობის განვითარებისათვისაც სასიკეთო გარემო შექმნა და ინვესტირება მეფრინველობაში თანხის დასაბანდებლად მოტივაცია გაუწვია. ბოლო პერიოდში ამოქმედდა პატარა ფრინველების, საგარეუოს, კოდის, ბოლნისის (სავენეთი) მეფრინველობის ფაბრიკები; ამას დაემატა სრულიად ახალი, მცირე სიმძლავრის მქონე მეფრინველობის საწარმოები: მუხრანის, ალგეთის, კუმისის და სხვა. სწორედ ამ საწარმოების მეშვეობით მოხერხდა მოკლე დროში საზღვარგარეთიდან კვერცხის იმპორტის შეზღუდვა და საკუთარი ბაზრის უდიდესი სემენტის დაკავება. თუმცა რაც გაკეთდა, აშკარად არაა საკმარისი და ადგილობრივი წარმოების ფრინველის ხორცი თოხსახლეობის უზრუნველყოფა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

დასასრული მე-4 გვერდზე

რას ითვალისწინებს რძის მწარმოებლისათვის ახალი საკანონმდებლო ცვლილება

ამას წინათ, მედიამ გაერცხლებულმა ცნობამ, რომ ხელისუფლებაში რძის მწარმოებლისათვის ახალი საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება, რომლის ძალითაც მწარმოებლები, რომლებიც ცვლილებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ, პროდუქციის გასაღებას ვერ შეძლებენ, თუნდაც აგრარულ ბაზრებზეც, რადგან სურსათის უვნებლობა იქაც მკაცრად შემოწმდება. ამ ინფორმაციამ საზოგადოების ნაწილში ინტერესი და არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, რადგანაც იქვე გაჩნდა ლოგიკური კითხვები იმის თაობაზე, გამოიწვევდა თუ არა ეს ცვლილებები რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლისათვის ხარვეზების გაზრდას და დაემუქრებოდა თუ არა რეგიონებში, განსაკუთრებით კი აჭარის მთიანეთში, სადაც მეცხოველეობა ერთ-ერთი ძირითადი და ნამყვანი დარგია, რძისა და რძის პროდუქტების წარმოებით დაკავებული ფერმერთა ნაწილის საქმიანობის შეწყვეტას, რადგანაც 2015 წლის 1 იანვრისათვის მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ისინი რძის პროდუქტების: ყველის, ხაჭაპოს, კარაქის, ერბოს, ნაღებისა და მანჯისის გაყიდვას სავაჭრო ქსელში ვერ შეძლებენ და თეორიულად მხოლოდ გარევაჭრობის იმედის ამარა რჩებიან!



ილია სირაძე: „პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ რძის მწარმოებლისათვის ახალი საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების მთავარი მიზანი - სასურსათო წარმოებასა და რეალიზაციის ამ სექტორში საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დამყარებაა. არც ისაა უცხო, რომ ჰიგიენის მოთხოვნები ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს, თუმცა ის, რაც დაკავშირებულია სურსათის უვნებლობასთან, ეს მოთხოვნები საერთაშორისო და თანამედროვე ევროპული მოთხოვნების შესაბამისი. ამავდროულად, იგი დღეს რეალურად არსებულ საფრთხეების პროპორციულია.“

რომ დაეკვირვებოდით, თუ რაზეა საუბარი, გეტყვით, რომ მომავალი წლის 1 იანვრიდან HACCP-ის სისტემის დანერგვის გარეშე სასაქონლოსა და ნედლი რძის გადამამუშავებელ საწარმოებს მუშაობა აუკრძალბათ. ეს გახლავთ რისკებისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ანალიზის სისტემა და იგი საკვალდებულო არ იქნება ყველა იმ ბიზნესისათვის, რომელიც პირველად პროდუქტს აწარმოებს, მაგალითად, აწარმოებს ხორცს და რძეს, მაგრამ არ ამზადებს ხორცისა და რძის პროდუქტებს.

რისკებისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ანალიზის სისტემა - სურსათის უვნებლობის თანამედროვე მიდგომაა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ საიმპორტო ბაზარზე მოხვედრის უზრუნველყოფის მიზნით საწარმოებში უზრუნველყოფა რისკის პროდუქტები ამ შემთხვევაში - რძის პროდუქტები და შესაბამისად, დაცული იქნება მომხმარებლის ინტერესები და ჯანმრთელობა. მის დანერგვას ქვეყანაში სურსათის ეროვნული სააგენტო

გაუწევს მეთვალყურეობას თუმცა, თუ მწარმომადგენელი პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე გაიტანოს, მაშინ მონიტორინგს ევროკავშირის ექსპერტები გაუწევენ, რის შედეგადაც საწარმოს შესაბამისი აღიარების კოდი და ნომერი მიენიჭება. ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე გატანა. აქ იმასაც გაეუხადებინათ, რომ ჩვენი საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა შიდა ბაზარზეა ორიენტირებული და შესაბამისად, მათ ეს პრობლემა ნაკლებად შეაწუხებთ.

ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით, ბაზარზე პროდუქტის გაყიდვას ვერ შეძლებენ ის სასაქონლოები და ნედლი რძის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც 1 იანვრიდან რისკებისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ანალიზის სისტემას არ დანერგავენ. მათ საქმიანობის შეწყვეტა მოუწევთ. როცა რძის მწარმოებლისათვის ახალი საკანონმდებლო ცვლილებებზე მიდის მსჯელობა, ხშირად მას ადამიანების ნაწილი ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებას უკავშირებენ. ამასთან დაკავშირებით, შემიძლია გითხროთ, რომ ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე რძის პროდუქტების შეტანა არაა გათვალისწინებული საერთოდ, ქვეყანას მოხმარებელი რძის პროდუქტების ყველაზე დიდი ნაწილი შემოაქვს და ესეც რომ არ იყოს, რძის პროდუქტის მალეფუჭადი და მისი შენახვის ვადა არაა 2 კვირაზე მეტი, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია.

საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით მუშაობა, როგორც ვიცით, აქტიურ ფაზაშია. აქ ყველა დეტალი დაზუსტებული და განვირგობილია. ბევრი რამ კიდევ დაზუსტდება. დარწმუნებული ვარ, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ იქნება ჩვენი მეცხოველე ფერმერებისათვის და რძის პროდუქტების მწარმოებლისათვის შემავალი ფაქტორი. დაგსძენ იმასაც, რომ HACCP-ის სისტემის დანერგვა, თუ კი იგი იხე გახმობილიდება, როგორცაა ჩამოყრებული, არც პროდუქტის გაქვრებას გამოიწვევს. იგი უბრალოდ ბაზარზე არასტანდარტულ რძეს და დაბალხარისხიან, არც თუ იშვიათად - ჯანმრთელობისათვის საშიში რძის პროდუქტების მოხვედრას გამოიწვევს.

2015 წლის 1 იანვრიდან ახალი ცნება შემოიღეს: ეს გახლავთ ბიზნესოპერატორის აღიარება, რომელიც რძისა და ხორცის პროდუქტების, ზოგადად, ცხოველური წარმოების სურსათის ყველა მწარმოებელს შეეხება. სურსათის ეროვნული სააგენტოში შეიქმნება რეესტრი და ბიზ-

ნესსუბიექტები პერიოდულად, გეგმიურად შემოწმდებიან. ეს არის ევროპულიდან დაახლოებით, პროგრესული მიდგომა. HACCP-ის სისტემის დანერგვა იმის საშუალებას იძლევა, რომ გეგმიურად ევროკავშირის პროდუქტის წარმოების მთელი ვაჭვი ნედლეულიდან - მომხმარებელამდე მისვლამდე, სისტემა ხელს უწყობს უსაფრთხო პროდუქტის წარმოებას და ვიმეორებ, ეს არ გახლავთ უბრალოდ ევროკავშირის მოთხოვნა, იგი დროის და რიგითი ადამიანების კანონიერი მოთხოვნაა უფროა, სწორედ იმით, ვისაც ნამდვილად სურს, რომ უსაფრთხო სურსათით იკვებოდეს. ვინც აცნობიერებს, რომ სრული უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი ჯანმრთელობა და უვნებელი პროდუქტის შეიძინონ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი ეს მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე კეთდება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ და ევროკავშირის წევრების ხელშეკრულებას მოვანერგთ.

გარკვეულწილად, არც იმის გამოცხადება შეიძლება, რომ როცა საწარმოში ეს სტანდარტები დანერგულა, რა თქმა უნდა რაღაც დროით მწარმოებს უზრუნველყოფს, მაგრამ როცა მალაი ხარისხის პროდუქტის გამოშვებაზე გაქვს ამბიცია, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაღალხარისხიანი ნაწარმი ყოველთვის ფასობს კიდევ, ევროსტანდარტების შესაბამისი პროდუქტისა ამ მოთხოვნებს ნამდვილად უნდა აკმაყოფილებდეს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა მათ, ვისაც ამ მოთხოვნათა დამკვეთება არ შეუძლიათ, ბაზრიდან ნაწილად რეგრესიონში, საკმაოდ იქნებიან ისეთებიც, ვინც მხოლოდ რძეს ნედლეულის სახით ჩამოიხრებენ, ხოლო საბოლოო პროდუქტისა კი სერტიფიცირებული საწარმოების დაამზადებენ. მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად მოერგება ეს მოდელი ჩვენს რეალობას. იქნებ ისიც მოხდეს, რომ ნვრილ ფერმებს, რომლებსაც ინდივიდუალურად არც კი უღირდეთ ამის გაკეთება, რძე როგორც ნედლეული მსხვილ მწარმოებს, ან სპეციალურ უზრუნველყოფას გამოიწვევს, საიმპორტო კომპერაციის ფართო გავრცელების შემთხვევაში, როცა გარკვეულწილად მეურნეობის განსხვავებულ მოხდება, სისტემის დანერგვაც გადავიდეს. ასე რომ, საბოლოო ფაქტი - ნაგებული არავინ არ უნდა დარჩეს, პირველ რიგში კი მოიგებს მომხმარებელი და სურსათის უვნებლობის მხრივ, ეს მასშტაბური ნივთადადგებული ნაბიჯი იქნება.

ნუგზარ ყორღანიძე

სუბტროპიკული კულტურების ნერგების გამოზამთრება

იმისათვის, რომ სუბტროპიკული კულტურების, ციტრუსებისა და ხეხილის ნერგები წარმატებულად გამოიზამთროს, საჭიროა მეურნე აგრონომებისათვის გათვალისწინებული რიგი სამუშაოები ჩაატაროს. აგრონომისებები იწყებენ იმით, რომ 15 სექტემბრის შემდეგ წყდება ნიადაგის დამუშავება (ცვლილების კონტინენტებში ნიადაგის გაფხვიერება) და სასუქების მიცემა. 20 ოქტომბრიდან იწყება მცენარეების ნაზი ყლორტების ნაჩქმება ნოემბერში, თუ კიდევ გაგრძელდა ახალი ყლორტების წარმოქმნა, ნაჩქმდება ახლად წარმოქმნილი მოზარდი ყლორტების წვეროები 5-6 სმ-ზე. თუ ნერგებს ღია გრუნტიდან ვიღებთ შემდგომი შენახვისათვის, ნერგებს ყლორტები მოდიანად უნდა მოვაცალოთ. კონტინენტებში გამოყვანილი ნერგების ყლორტების დაახლოებით 1/4 უნდა მოცილდეს.

ღია გრუნტში ნერგების გამოზამთრებას დასაწყისად მათი მინით შემოყრა ფესვის ყელიდან 30-35 სმ სიმაღლეზე (ნერგის სიმაღლის შესაბამისად). თუ ნიადაგი ფხვიერ-სილნარია, ის შერგვის გარეშე შემოყრება ნერგს, ხოლო მძიმე თინარი ნიადაგის შემთხვევაში, მას ემატება მინარის სილა, დაახლოებით მინის მასის 1/4 ნილი, ან მცენარეზე გაანგარიშებით 2-4 კმ/მრზე შემოყრა უნდა განხორციელდეს 15 ნოემბრამდე და 25 მარტამდე კვერცხი-

ის დანეყვამდე შემოცალოს. მაგრამ მინის შემოყრამდე უნდა ჩატარდეს არსებული სადრენაჟო ქსელის გასუფთავება, ან ახლის გაყვანა. ახალი სადრენაჟო ქსელი ეწყობა მინდვრულ სისტემის საწარმოებში ყოველ 5-მის დაშორებით 15-20 სმ სიღრმით, ხოლო კვლბინი სისტემის საწარმოებში საჭიროა კვლბის შორის დარჩენილი ადგილების ბალახების განსუფთავება. ამრიგად, მომზადებული ნერგები სისტემატურად მოწმდება მთელი საწარმოების საფარში, ქარის ან ნვიშების მიერ შემოყრილი მინის ჩამოშლის, ან გადაყრის შემთხვევაში ის სწორდება და უზრუნველდება თავის ადგილს.

მინაყრილის (ან ტრანშეის) ტიპის პირობებში შენახვისას აკეთებენ მინის თხრილებს 15-4 მის სიგარითისა და 50-75 სმ-ის სიღრმის თხრილის სიგრძე და მოკიდებულია ნერგების რაოდენობაზე. მინაყრილის შემოდან ედგება შუშის რამბა, როგორც კი ნერგებს უწერდებათ ზრდის პროცესი, დაახლოებით 15-20 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე) ამოიღებენ მათ მინაყრილიდან და ნიადაგთან ერთად გადააქვთ ტრანშეაში, სადაც ერთმანეთთან გვერდიგვერდ, მჭიდროდ აწყობენ. ნერგების სიდიდიდან გამომდინარე 1მ²-ის მინაყრილის ფართზე განალაგებენ 20-დან 30-მდე ნერგს.

აღრე, ნერგების შენახვის ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდი იყო მათი მინით „მომარგვა“ გრუნტის ფიცრულეში. მაგრამ თანამედროვე პირობებში ეს მეთოდი შეიცვალა ნერგების შესაფუთი თანამედროვე მასალებით შეფუთვის მეთოდით. ნერგები, როგორც წესი იფუთება სპეციალური ქსოვილით, (ბიაზით) იშვიათად მიტკალით, ასაკებით, პლასტმასის მილებით და სხვა. ასეთი მეთოდით შენახვა ხდება პრიმიტიული სათბურების მოწყობისას. ის იმდენად მარტივია, რომ მისი მოწყობა არ ითხოვს დიდ დროს და დანახარჯებს. მარტივი სათბურების კარკასი კეთდება პლასტმასის მილებით (სასურველია ამ მილებში, სიმტკიცის მიზნით შეშვებულ იქნეს შესაბამისი სისქის და სიგრძის არმსტურა ან კაბანკა), რომლის დიამეტრი 3/4 ან 1 დიუმი (დიუმი 25მმ). კარკასის სიგარით დაახლოებით 15 მ-ია სიმაღლე კი 1 მეტრიდან 15 მეტრამდე, სიგრძე შეიძლება ნებისმიერი იყოს. რკალის ბოლოები ეშვება მიწაში 30 სმ-ის სიღრმეზე. ასეთი კარკასები გადაიხურება აფსკითა და უქსოვადი ქსოვილით. თუ გადასახურად ვიყენებთ თხელ ბი-აზს, ან მიტკალის მასალას, ის უნდა გამოყენებულ იქნეს ორ ან სამ ფენად. ამ მასალების სიგარით შესაბამისად 22 და 18 მ-ია. პლასტმასის მილების რკალის ზემოთა ნაწილში იჭიმება 4-მის მავთული ან პოლიეთილენის თოკი, რომლის ბოლოები მაგრდება ნიადაგში ჩარქობილ სამაგრებზე. რკალეში ყოველი 15 მ სიგრძეზე დგება მავთული ბოძები (ბამბუკის, ხის, ან რკინის მილი), კარკასისთვის სიმტკიცის მისაცემად.

პოლიეთილენის აფსკით გადახურვის დროს, ყოველ 15 მ-ის მანძილზე, კარკასის ორივე მხრიდან მას ამაგრებენ კავით ნიადაგში. ასაკის ზემოდან გადახურება უქსოვადი ქსოვილით, ან სხვა მასალის ნაქერი, რომელიც ასევე მაგრდება ნიადაგში კავებით, თითო მეტრის დაშორებით. ასაკის ბოლოები მჭიდროდ ეკრება ნიადაგს. ასეთი ტიპის მოწყობის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს განივების სისტემა. ამისათვის კონსტრუქციის ორივე ბოლოებში აკეთებენ ერთგვარ „ფანჯრებს“, რომლებსაც თბილ ამინდში ალბენ და სათბურს ანიაგებენ.

თამაზ ზერიძე
ჩაქვის ცენტრის ხელმძღვანელი
საკოლექციის ხელმძღვანელი

